

ნინო ნატროშვილი¹, თამარ ნატროშვილი¹, ნატო ნატროშვილი²

პირის ღრუს ჰიგიენის როლი კოვიდ 19-ის განვითარების პრევენციაში

¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;

²თბილისის ცენტრალური საავადმყოფო, ევროპის უნივერსიტეტი, სამედიცინო დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო;

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.06.17>

NINO NATROSHVILI¹, TAMAR NATROSHVILI¹, NATO NATROSHVILI²

THE ROLE OF ORAL HYGIENE IN THE PREVENTION OF THE DEVELOPMENT OF COVID-19

¹David Agmashenebeli University of Georgia, Tbilisi, Georgia; ¹Tbilisi Central Hospital, European University, department of medicine, Tbilisi, Georgia

SUMMARY

The intricate relationship between oral health and overall well-being stands out prominently. It's more than a mere correlation; it's a dynamic interplay where systemic diseases exert influence on oral health, and reciprocally, changes in oral health can reverberate through one's general well-being.

A staggering statistic further underscores the global magnitude of oral health challenges - almost half of the world's population, nearly 3.5 billion people, grapple with various oral health conditions.

Recognizing the gravity of major oral diseases and conditions on a global scale, the World Health Assembly responded with resolution WHA 74.5 (2021) dedicated to oral health. In alignment with this commitment, a strategic response has been crafted in the form of a global action plan on oral health, outlining ambitious targets to be achieved by 2030. This strategic initiative reflects a collective commitment to tackling the multifaceted challenges posed by oral health on a global scale.

Amidst the complex health landscape, the emergence of the coronavirus Disease 2019 (COVID-19) adds another layer of intricacy. Caused by the SARS-CoV-2 virus, this disease infiltrates both the upper and lower respiratory tracts, initiating a cascade of health implications. Notably, the infection can manifest in various oral symptoms, including xerostomia, dysphagia, and dry mouth. Against this backdrop, our research endeavors aim to unravel the nuanced role of oral hygiene in preventing and mitigating the impact of COVID-19, further emphasizing the interconnected nature of oral health and broader health outcomes.

Keywords: Oral Hygiene, Covid-19, Prevention

მსოფლიო მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, დაახლოებით 3,5 მილიარდ ადამიანს აღენიშნება პირის ღრუს ცალკეული დაავადებები, როგორცაა კარიესი, პაროდონტიტი და ა.შ., რაც ქმნის საჭარო ჯანდაცვის სერიოზულ პრობლემას [6,7,8].

ბოლო ათწლეულებია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობს იმ პროექტებს, რომლებიც მიმართული არიან პირის ღრუს გაჯანსაღებისკენ, როგორც საჭარო ჯანდაცვის გაუმჯობესების ერთ-ერთ ძირითად საშუალებაზე. მსოფლიო ჯანდაცვის ანსამბლეს რეზოლუცია WHA 74,5 (2021) განსაზღვრავს 20-30 წლამდე სტრატეგიას, რომელიც პირის ღრუს ჯანმრთელობის გაუმჯობესების გლობალურ გეგმას მოიცავს, როგორც საჭარო ჯანდაცვის მთავარ შემადგენელ ნაწილს.

პირის ღრუ, როგორც იტყვიან, არის სარკე, რომელიც ასახავს ჩვენი ორგანიზმის ზოგად ჯანმრთელობის მდგომარეობას. ჯანმრთელი პირის ღრუ ჯანმრთელი ორგანიზმის სანინდარია, რაც ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში აისახება [4,10,12].

სამედიცინო ლიტერატურაში უამრავი შრომა გამოქვეყნდა, სადაც მყარი არგუმენტები ადასტურებენ კავშირს პირის ღრუს ჯანმრთელობასა და ადამიანის ზოგად ჯანმრთელობას შორის, პირის ღრუს არასათანადო მდგომარეობა კი კავშირშია ისეთ დაავადებებთან, როგორცაა გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ. [1,5,10,11].

კოვიდ პანდემიამ აჩვენა, რომ პირის ღრუს პრობლემები იყო მეტად სავალალო [2]. პირის ღრუში კოვიდ 19-ის დროს ხშირად ვლინება გემოვნური შეგრძნებების შეცვლა, კერძოდ კი

აღინიშნება ჰიპოგესია, დისგესია, აგესია, ასევე აღინიშნება ქსეროსტომია, ასევე ხშირია პირის სიმშრალე, ყლაპვის გაძნელება, ღრძილების ფერის შეცვლა, კბილების კრაჭუნი, ლორწოვანის სხვადასხვა სახის დაზიანებები და ა.შ.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს დავადებინოთ კავშირი პირის ღრუს ჰიგიენას და კოვიდ 19 დაავადებას შორის, კერძოდ კი რა როლი ეკისრება პირის ღრუს ჰიგიენას კოვიდ 19-ის პრევენციაში. როგორც კარგად ცნობილია, კოვიდ 19-ის პრევენციის ძირითად იარაღს, პირბადის ტარებასთან ერთად, წარმოადგენს პირადი ჰიგიენა, კერძოდ კი მოწოდებული იქნა ხელების დაბანვის განსაკუთრებული გახანგრძლივებული მეთოდები, რომლებიც უნდა შესრულებულიყო სკრუპულოზული სიზუსტით, ისმის კითხვა, თუ ხელების დაბანა ესოდენ მნიშვნელოვანია ამ ინფექციის აცილებაში, რატომ არ არის გამახვილებული ყურადღება კავშირზე პირის ღრუს ჰიგიენასა და კოვიდ 19-ის პრევენციას შორის.

პირის ღრუში ბაქტერიების დაახლოებით 300 სახეობაა, რომლებიც ქმნიან მილიონობით პოპულაციებს და რა თქმა უნდა წარმოადგენენ ინფექციის წყაროს მთლიანი ორგანიზმისთვის, ამას ემატება იმ ვირუსების რაოდენობაც, რომლებიც იჭრებიან ორგანიზმში სხვადასხვა ინფექციური დაავადებების დროს, მათ შორის კოვიდ 19-ის დროს, და ინვევენ სხვადასხვა სახის დაზიანებებს, როგორც პირის ღრუში, ასევე ორგანიზმის სხვადასხვა სისტემებში.

რიგი კვლევები ადასტურებენ, რომ პირის ღრუში შეჭრის შემდეგ ვირუსები, გარდა სასუნთქ სისტემაში შეჭრისა, დიდი კონცენტრაციით იჭრებიან ღრძილების სისხლძარღვთა სისტემაში და უსწრაფესი გზით ხვდებიან ფილტვის ქსოვილებში და ინვევენ სწრაფ შეუქცევად ცვლილებებს.

ჩვენს კვლევაში მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ასაკის 92 მოხალისე კოვიდ პანდემიის პერიოდში. იმუნური აცრების დაწყებიდან 10 თვის პერიოდში, ისინი დავეყავით ჯგუფებად, ასაკის გათვალისწინებით, ასევე იმის მიხედვით, თუ რამდენი იყო აცრილი, და რამდენჯერ. ასაკის მიხედვით პაციენტები დავეყავით 3 ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედიოდნენ ახალგაზრდები 15-დან 30 წლამდე - 30 პაციენტი, მეორე ჯგუფში 60 წლამდე - 40 პაციენტი და მესამე ჯგუფში 60 წლის ზემოთ, 22 პაციენტი.

პაციენტებს ეძლეოდათ მითითებები მკაცრად დაეცვათ პირის ღრუს ჰიგიენის ის მეთოდები, რომლებიც იქნა მოწოდებული მათთვის ექიმის მიერ.

კვლევის შედეგები შემდეგია:

პირველ ჯგუფში კვლევის დაწყებიდან მე-10 თვეში მხოლოდ 1 პაციენტი დაავადდა კოვიდ 19-ით, რომელმაც როგორც აღმოჩნდა არ დაიცვა ექიმის მიერ მითითებული რჩევები და არ იყო არც ერთხელ ვაქცინირებული.

მე-2 ჯგუფში კვლევის პერიოდში არც ერთ პაციენტს არ გამოუვლინდა დაავადება, ვაქცინირებული იყო მხოლოდ 5 მონაწილე ორჯერადად.

მე-3 ჯგუფში, ისევე როგორც მე-2 ჯგუფში, არ გამოვლინდა არც ერთი შემთხვევა კოვიდ ინფიცირების გამოვლენისა. ამ ჯგუფში ვაქცინირებული იყო 6 მონაწილე ერთჯერადად და 10 მონაწილე ორჯერადად.

ამრიგად, კვლევის შედეგები იძლევა მონაცემებს იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირის ღრუს ჰიგიენას კოვიდ-19-ის პრევენციის მართვაში, პრევენციის სხვა საშუალებებთან ერთად.

კვლევა გრძელდება პანდემიის შემდეგაც მთარულ რესპირაციულ ვირუსებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Beck J, Garcia R, Heiss G, et al. Periodontal disease and cardiovascular disease J Periodontol. 1996; 67:1123-1137.
2. COVID-19 and oral diseases: Assessing manifestations of a new pathogen in oral infections
3. Afsar R, Naqvi, Joel Schwartz, Daniela Atili Brandini, Samantha Schaller, Heba Hussein, Araceli Valverde Pages 423-437 | Received 12 Jul 2021, Accepted 09 Aug 2021, Published online: 16 Sep 2021
4. List I S, Quiñonez C, Vujcic M. Including oral diseases and conditions in universal health coverage. Bull World Health Org. 2021; 99:407. doi: 10.2471/BLT.21.285530
5. Locker D. Concepts of oral health, disease and the quality of life. In: Measuring oral health and quality of life. Chapel Hill: University of North Carolina; 1997.

6. Loe H. Periodontal disease: the sixth complication of diabetes mellitus Diabetes Care, 1993;16:329-334
7. Nityanand Jain, Upasna Dutt, Igor Radenkov, Shivani Jain. WHO's global oral health status report 2022: Actions, discussion and implementation, First published: 20 January 2023
8. Niederman R, Ogunbodede E, Feres M. Dentistry. In: Debas H, Donkor P, Gawande A, Jamison DT, Kruk MN, editors. Disease Control Priorities. 3rd ed. vol. 1. Essential Surgery. World Bank: Washington, D.C. (2015).
9. Peres MA, Macpherson LMD, Weyant RJ, Daly B, Venturelli R, Mathur MR, et al. Oral diseases: a global public health challenge. Lancet. 2019; 394:249-60. doi: 10.1016/S0140-6736(19)31146-8).
10. Reissman DR, Jhon MT, Schierz O, Kriston L, Hinz A. Association between perceived oral and general health. J Dent. 2013;41(7):581-9.
11. Scannapieco FA, Cantos A. Oral inflammation and infection, and chronic medical diseases: implications for the elderly Periodontol 2000, 2016;72:153-175.
12. Tonetti MS, Dyke TE. Periodontitis and atherosclerotic cardiovascular disease: consensus report of the joint EFP/AAP workshop on periodontitis and systemic diseases J Clin Periodontol, 2013; 40(s14):S24-S29
13. Ware JE, Gandek B. Overview of the SF-36 Health Survey and the international quality of life assessment (IQOLA) Project. J Clin Epidemiol. 1998;51(11):903-12.

ნინო ნატროშვილი ¹, თამარ ნატროშვილი ¹, ნატო ნატროშვილი ²

პირის ღრუს ჰიგიენის როლი კოვიდ 19-ის განვითარების პრევენციაში

¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;

²თბილისის ცენტრალური საავადმყოფო, ევროპის უნივერსიტეტი, სამედიცინო დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო;

რეზიუმე

მსოფლიო მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, დაახლოებით 3,5 მილიარდ ადამიანს აღენიშნება პირის ღრუს ცალკეული დაავადებები, როგორცაა კარიესი, პაროდონტიტი და ა.შ., რაც ქმნის საჭარო ჯანდაცვის სერიოზულ პრობლემას.

ბოლო ათწლეულებია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობს იმ პროექტებს, რომლებიც მიმართული არიან პირის ღრუს გაჯანსაღებისკენ, როგორც საჭარო ჯანდაცვის გაუმჯობესების ერთ-ერთ ძირითად საშუალებაზე. მსოფლიო ჯანდაცვის ანსამბლეს რეზოლუცია WHA 74,5 (2021) განსაზღვრავს 20-30 წლამდე სტრატეგიას, რომელიც პირის ღრუს ჯანმრთელობის გაუმჯობესების გლობალურ გეგმას მოიცავს, როგორც საჭარო ჯანდაცვის მთავარ შემადგენელ ნაწილს.

ჯანმრთელი პირის ღრუ ჯანმრთელი ორგანიზმის საწინდარია, რაც ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში აისახება.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს დავადგინოთ კავშირი პირის ღრუს ჰიგიენას და კოვიდ 19 დაავადებას შორის, კერძოდ კი რა როლი ეკისრება პირის ღრუს ჰიგიენას კოვიდ 19-ის პრევენციაში. კვლევის შედეგები ვფიქრობთ იქნება გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანი კოვიდ 19-ის პრევენციის საქმეში.

